



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ „აკადემია“ - ქუთაისის „აია 1“		
გუნდი	ქუთაისის „აია 1“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ბ“ ლიგა
მატჩის თარიღი	15/06/2023	მატჩის ადგილი	თბილისი, რაგბი პლაცო
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
სტატუსი	მოთამაშე	დაზარალების თარიღი	04/11/2007
სახელი, გვარი	ნუგზარ ჟორჟოლიანი		
<input checked="" type="checkbox"/> მსაჯი <input type="checkbox"/> საითინგ კომისარი	გიორგი ირემაშვილი	დარღვევა	<input checked="" type="checkbox"/> ალიარებულია <input type="checkbox"/> უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია დანართი #4. 9.12 მოთამაშემ არავინ არ უნდა შეურაცხყოს სიტყვიერად.	<input checked="" type="checkbox"/> წითელი ბარათი <input type="checkbox"/> საითინგი <input type="checkbox"/> სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	21/06/2023	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიქვაიძე, აკაკი კერესელიძე		
დამრღვევის დასწრება	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	სხვა დამსწრეები :	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა
დამრღვევის წარმომადგენელი	ნიკოლოზ ლაღაძე - „აია1“-ს მთავარი მწვრთნელი. სატელეფონო ჩართვა	აღნიშნულ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის, წითელი ბარათის ოქმი; ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა;		

**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის და დამხმარე მასალების ძირითადი ელემენტები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის, წითელი ბარათის ოქმი (ციტირება) - *მეორე ტაიმის დასაწყისში გუნდებს შორის მოხდა შელაპარაკება რა დროსაც აიას მოთამაშემ ნუგო ჟორჟოლიანმა (4) შეაგინა დედა მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეს, რასაც გაწევ-გამოწევა*



მოჰყვა და ის გაარიდეს სიტუაციას, ამ ყველაფრის მერე აკადემიის მოთამაშე ტატო ბესელია (18) მიდის ნუგო ჟორჟოლიანთან და მუშტს ურტყამს სახეში. ამას მოჰყვა გუნდური დაპირისპირება, რაც გადაიზარდა ხელჩართულ ჩხუბში. ორივე მოთამაშეს მივეცი წითელი ბარათი და დავატოვებინე მოედანი. მოედნიდან გასვლის შემდეგაც ჰქონდა ჩხუბის პროვოცირებას ადგილი, მომიწია თამაშის გაჩერება და მწვრთნელებს მივმართე თხოვნით რომ გაემორებინათ ერთმანეთს და წაეყვანათ გაძევებული მოთამაშეები გასახდელისკენ.

2. მატჩის კიდის მსაჯი კახა გელოზია (სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი) - თამაშის მე-2 ნახევარში, გუნდებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის (სიტყვიერი შელაპარაკება, დიმიტილოზა/ხელის კვრა) დროს, ქუთაისის „აია 1“-ის მოთამაშე N4-მა ნუგზარ ჟორჟოლიანმა, დედა შეაგინა მოწინააღმდეგეს, რის შემდეგაც აკადემიის მოთამაშემ ტატო ბესელიამ (18) ნუგზარ ჟორჟოლიანს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა.
3. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალის მიხედვით - თამაშის მეორე ნახევარში (თამაშის ვიდეოჩანაწერის 49-ე წუთი) „აია-1“ საკუთარი ლელოს ხაზიდან ანახლებს თამაშს, ბურთის წინ ვარდნის გამო მსაჯის სასტვენის შემდეგ იწყება შელაპარაკება „აკადემია“-ს N5 და „აია 1“-ს N13 შორის. კონფლიქტში (სიტყვიერი შელაპარაკება, დიმიტილოზა/ხელის კვრა) ერთვებიან ორივე გუნდის მოთამაშეები. წარმოქმნილ სიტყვიერ დაპირისპირებაში ერთვება „აია 1“-ს მოთამაშე ნუგზარ ჟორჟოლიანი N4, რომელმაც მატჩის ოფიციალური პირების (მსაჯი და კიდის მსაჯი) განცხადებების მიხედვით, სიტყვიერი შეურაცხყოფა (დედის გინება) მიაყენა მოწინააღმდეგეს. თანაგუნდელის სიტყვიერ შეურაცხყოფას გამოესარჩლა „აკადემია“-ს მოთამაშე N 18 (ტატო ბესელია), რომელმაც მიიღბინა „აია 1“-ს N 4-თან (ნუგზარ ჟორჟოლიანი) და რამოდენიმეჯერ თავში ჩაარტყა ხელი, რის შედეგადაც კონფლიქტი გუნდურ ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. დაპირისპირების დასრულების შემდეგ მატჩის მსაჯმა ორივე გუნდის მოთამაშე („აია 1“ ნუგზარ ჟორჟოლიანი და „აკადემია“ ტატო ბესელია) წითელი ბარათებით გააძევა მოედნიდან.

**დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)**

არა

**დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება**

ქუთაისის „აია 1“-ს (ჭაბუკთა „ბ“ ლიგა) მწვრთნელი ნიკოლოზ ლაღაძე არ დათანხმდა მსაჯის გადაწყვეტილებას „აია 1“-ს მოთამაშის, ნუგზარ ჟორჟოლიანის (N4), წითელ ბარათით გაძევების შესახებ. მისი განცხადებით მოთამაშე ნუგზარ ჟორჟოლიანი (N4) გაშველების მიზნით ჩაერთო წარმოქმნილ კონფლიქტში რა დროსაც მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშემ და სწორედ ეს გახდა მისი მხრიდან მოწინააღმდეგის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიზეზი.

**ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა**

1. 15/06/2023წ. გაიმართა ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩი თბ. „აკადემია“-სა და ქუთაისის „აია-1“-ს შორის.
2. თამაშის მეორე ნახევარში (თამაშის ვიდეოჩანაწერის 49-ე წუთი) „აია-1“ საკუთარი ლელოს ხაზიდან ანახლებს თამაშს, ბურთის წინ ვარდნის გამო მსაჯის სასტვენის შემდეგ, იწყება შელაპარაკება „აკადემია“-ს N5 და „აია 1“-ს N13 შორის.



3. წარმოქმნილ სიტყვიერ დაპირისპირებაში ერთეობა „აია 1“-ს მოთამაშე ნუგზარ ჟორჯოლიანი N4, რომელმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა (დედა შეაგინა) მოწინააღმდეგეს.
4. თანაგუნდელის სიტყვიერ შეურაცხყოფას გამოესარჩლა „აკადემია“-ს მოთამაშე ტატო ბესელია (N18), რომელმაც მიირბინა „აია 1“-ს მოთამაშე ნუგზარ ჟორჯოლიანთან (N4) და მიაყენა ფიზიკური შეუცხყოფა (რამოდენიმეჯერ თავში ჩაარტყა ხელი), რასაც მოყვა გუნდური ჩხუბი.
5. დაპირისპირების დასრულების შემდეგ მატჩის მსაჯმა ორივე გუნდის მოთამაშე („აია-1“-ს მოთამაშე ნუგზარ ჟორჯოლიანი და „აკადემია“-ს მოთამაშე ტატო ბესელია) წითელი ბარათებით გააძევა მოედნიდან.

**მსჯელობა**

6. სადისციპლინო კომისიამ ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის შემდეგ იმსჯელა ინციდენტის შესახებ და დადგენილად სცნო ქუთაისის „აია 1“-ს მოთამაშის ნუგზარ ჟორჯოლიანის მხრიდან თამაშის წესების 9.12 წესის (**მოთამაშემ არავინ არ უნდა შეურაცხოს სიტყვიერად**) დარღვევა.
7. ქუთაისის „აია 1“-ს (ჭაბუკთა „ბ“ ლიგა) მწვრთნელის, ნიკოლოზ ლადაძის, განცხადებაში მოყვანილი არგუმენტი იმის შესახებ, რომ ნუგზარ ჟორჯოლიანის მიერ მოწინააღმდეგის მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფას წინ უძღოდა „აკადემია“-ს მოთამაშის მხრიდან მისი ფიზიკური შეურაცხყოფა, **არ დგინდება** არსებული ვიდეომასალით.

გადაწყვეტილება			
<b>დარღვევის სტატუსი:</b>	<input checked="" type="checkbox"/> მიღებულია	<input type="checkbox"/> უარყოფილია	<input type="checkbox"/> სხვა (აღწერეთ)

სანქციების პროცედურა	
სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციებით განსაზღვრული	
<b>დარღვევის სიმძიმის შეფასება</b>	
<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
შეგნებული/წინასწარ განზრახული	წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი
დარღვევის სახის დადგენის საფუძველი	
მატჩის ოფიციალური პირების განცხადება, წითელი ბარათის ოქმში აღნიშნული მოთამაშის გაძევების საფუძველი.	
დამრღვევის მოქმედების სიმძიმე:	
<b>მძიმე სიტყვიერი შეურაცხყოფა (დედის შეგინება)</b>	
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი):	
არა	



ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას:
არა
სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული:
არა
მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა):
არა
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა):
არა
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე
მსაჯის მიერ გაცემული წითელი ბარათების შედეგად , თამაშში მონაწილე ორივე გუნდმა 14 მოთამაშით დაასრულა თამაში.
დაშავებულის დაცულობის ხარისხი
არა
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა;
არა
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა;
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი.
დამრღვევი მოთამაშე არ იყო საწყის ფაზაში კონფლიქტის მონაწილე

<b>დარღვევის ხარისხის შეფასება. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით</b>
ზედა ზღვარი * კვირა. შუა ზღვარი 8 (რვა) კვირა/თამაში ქვედა ზღვარი კვირა

შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:



დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო;	დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;
არა	სუფთა სადისციპლინო ისტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;	ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში;
16 წლის	
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;	ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება
არა	

**დაკლებული კვირების რ-ბა: 2 (ორი) თამაში**

კვირების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა : მოთამაშის ასაკი (16 წელი), სუფთა სადისციპლინო ისტორია

**შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:**

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია;
არა
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება;
არა
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება;
არა

**დამატებითი კვირების რ-ბა: არა**



## სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	6 (ექვსი) თამაში. <b>3 (სამი) თამაში დაუყოვნებლივი</b> დისკვალიფიკაცია. <b>3 (სამი) თამაში პირობითი</b> დისკვალიფიკაცია 2023-2024 წლის სათამაშო სეზონის დასრულებამდე.	<input type="checkbox"/> წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	22/06/2023	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი. დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები.	დაუყოვნებლივი დისკვალიფიკაციის (3 თამაში) დამთავრების თარიღი უცნობია. პირობითი დისკვალიფიკაციის (3 თამაში) ვადა 2023-2024 სათამაშო სეზონის დასრულებამდე.	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	პირობითი დისკვალიფიკაციის პერიოდში მოთამაშის მხრიდან ანალოგიური დარღვევის შემთხვევაში, განმეორებითი დარღვევისთვის დაკისრებულ სანქციას ავტომატურად დაემატება პირობითი დისკვალიფიკაციით გათვალისწინებული თამაშები.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	22/06/2023
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.